

**ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიის
აფხაზეთის კომიტეტი**

Landmine Monitor-ის 2004 წლის ანგარიში

2003 წლის მაისის შემდეგ განვითარებული ძირითადი მოვლენებით 2003 წელს, „HALO Trust“-მა განაღმდა 779,660 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, და გაანადგურა 537 ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი, 91 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი და 653 აუფეოქებელი ჭურვი. 2004 წლის 1 იანვარსა და 28 ივნისს შორის პერიოდში, „HALO Trust“-მა განაღმდა 1,430,773 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი. 2003 წლის სექტემბერში, საქართველო და აფხაზეთი შეთანხმდნენ კოდორის ხეობის ერთობლივ განაღმვაზე, მაგრამ 2004 წლის სექტემბრისათვის არანაირი განაღმვის ოპერაციები არ ყოფილა განხორციელებული. 2003 წელს, „HALO Trust“-მა ნაღმებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების სასწავლო (MRE) სემინარები ჩაუტარა 14,926 ადამიანს. 2004 წლის იანვარსა და აგვისტოს შორის პერიოდში, 56,185 ადამიანს ჩაუტარდა MRE სემინარი. აფხაზეთის ხელისუფლებამ გააკეთა ოფიციალური განცხადება აფხაზეთში საქართველოდან შემოსული კერძო შეიარაღებული ჯგუფების მიერ ნაღმების გამოყენების შემთხვევათ შემცირების შესახებ. 2002 წლის შემდეგ, აფხაზეთის ან საქართველოს შეიარაღებული მაღების მიერ ნაღმების გამოყენების არცერთი დადასტურებული შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

1999 წლის შემდეგ განვითარებული ძირითადი მოვლენებით 2001 წელს, აფხაზეთის ხელისუფლებამ პირველად აღიარა, რომ აფხაზი ჯარისკაცები იყენებდნენ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს. აფხაზეთი აცხადებს, რომ როგორც აფხაზეთის ასევე საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა განათავსეს ნაღმები კოდორის ხეობაში 2001 წლის ოქტომბერსა და 2002 წლის შუა პერიოდში. ამ პერიოდის განმავლობაში, საქართველოდან აფხაზეთში შეაღწიეს კერძო შეიარაღებულმა ჯგუფებმა და განათავსეს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები. 1999 წლის იანვარში შეიქმნა აფხაზეთის განაღმვის ოპერაციათა განმახორციელებელი ცენტრი. 1999 წელს, „HALO Trust“-მა ჩაუტარა ნაღმებთან დაკავშირებული პრობლემის კვლევა ქვეყნის მასშტაბით, და დაადგინა, რომ დაახლოებით 18 მილიონი კვადრატული მეტრი მიწა სახიფათო ან საეჭვო იყო. 1997 წლის 18 ღეკქმბერსა და 2004 წლის 28 ივნისს შორის პერიოდში, „HALO Trust“-მა განაღმდა 4,555,216 კვადრატული მეტრი მიწა, და გაანადგურა 4,816 ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი, 521 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი და 4,338 აუფეოქებელი ჭურვი. გაინაღმა აფხაზეთის ინფრასტრუქტურის უკეთაზე მნიშვნელოვანი ელექტროენერგეტიკური 1999 წლის დასაწყისიდან ტარდებოდა ნაღმებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების სწავლების სისტემატური პროგრამები. 2003 წლის ბოლოსთვის, 61,955 ადამიანს ჰქონდა მიღებული მონაწილეობა MRE პროგრამებში. 1995-2003 წლებში გაგრის ორთოპედიულმა ცენტრმა განსაზღვრა 244 ნაღმზე დაზარალებულთა ამპუტაციები.

ნაღმების პერიოდიკა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1992-93 წლებში აფხაზეთსა და საქართველოს მთავრობას შორის წარმოქმნილი კონფლიქტის დროს ორივე მხარე იყენებდა ნაღმებს დიდი რაოდენობით. 1994 წელს მიღწეულ იქნა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, მაგრამ სროლები მაინც გრძელდებოდა. აფხაზეთი არ არის საერთაშორისო აღიარებული სახელმწიფო, ამიტომ მას არ შეუძლია გახდეს ნაღმების აკრძალვის კონვენციის მხარე. საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, აფხაზეთი მზად არის განიხილოს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის ღონისძიებებში მონაწილეობის საკითხი მხოლოდ საქართველოსთან კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების და საერთაშორისო საზოგადოების სახელით უსაფრთხოების გარანტიის უზრუნველყოფის კონტექსტში.¹ 2003 წლის 1 ივნისს, პრემიერ მინისტრმა რაულ ხაჯინბამ Landmine Monitor-ს განუცხადა, რომ როგორიც იყო აკრძალვის პირობების მიღება, რადგან „არსებობდა ნაღმების გამოყენების ახალ შემთხვევებთან დაკავშირებული პრობლემა იმ პირთა მხრიდან, რომლებიც იყენებდნენ ნაღმებსა და სხვა ფეთქებად მოწყობილობებს არასტაბილური და სახიფათო ატმოსფეროს შესაქმნელად.² აფხაზეთს არასოდეს განუცხადებია ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების წარმოება ან ექსპორტი. აფხაზეთის შეიარაღებულ მაღებს

აქვთ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების მარაგი, თუმცა მისი მოცულობა და შემადგენლობა უცნობია. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსო) სამშვიდობო ძალებში მომსახურებული რუსეთის საინჟინრო ქვედანაყოფებს ასევე შეუძლია პქტონდეს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების მარაგი. 1999 წლის ბოლოს შეიქმნა ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიის (AbCBL) აფხაზეთის კომიტეტი და ამის შემდეგ ჩატარდა Landmine Monitor-ის კვლევა აფხაზეთში.

გამოყენება

1996 წლის შემდეგ, საქართველოდან შემოსული კერძო შეიარაღებული ჯგუფები, რომლებიც სავარაუდოდ დაუგავშირებულნი იყნენ მთავრობასთან, რეგულარულად აღწევდნენ აფხაზეთში და ათავსებდნენ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს.³ ორმა ქართულმა ჯგუფმა - „თეორი ლეგიონი“ და „ტყის ძმები“ (რომელთაგან ორივე ქვემო გალის რეგიონში მუშაობდა) - აიდო პასუხისმგებლობა აფხაზეთში ნაღმებით გამოწვეულ შემთხვევათა უმრავლესობაზე.⁴ საქართველოს მთავრობამ უარყო ქართველი პარტიზანების მიერ ნაღმების გამოყენების საქმეში დახმარების ნებისმიერი ფაქტი⁵. აფხაზეთის თავდაცვის მინისტრებისა და სხვების განცხადებით, 2003 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა აფხაზეთში ამ ჯგუფების მიერ ნაღმების გამოყენების შემთხვევები.⁶ სექტემბრის დასაწყისისათვის, ადგილი არ ჰქონია საქართველოდან შემოსული კერძო შეიარაღებული ჯგუფების ან საქართველოსა და აფხაზეთის შეიარაღებული ძალების მიერ აფხაზეთში ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენების ახალ შემთხვევებს.⁷ აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის ვიაჩესლავ ეშბას განცხადებით, მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული კოდორის ხეობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებულ აფხაზ და ქართველ ძალებს შორის დაძაბულობის შემსუბუქების საქმეში⁸. 2001 წელს, აფხაზეთის ხელისუფლებამ პირველად განცხადა Landmine Monitor-ს, რომ აფხაზი ჯარისკაცები იყენებდნენ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს. აფხაზეთის ჯარის სამხედრო შტაბის უფროსმა განაცხადა, რომ ნაღმები გამოიყენებოდა მხოლოდ თავდაცვის მიზნით ისეთ ადგილებში, როგორიცაა ტყეებში არსებული სათვალთვალო პოსტები, გალისა და კოდორის ხეობის რაიონების მიმდებარე ტერიტორია რუსეთის საზღვართან. მან აღნიშნა, რომ ჯარისკაცები ყოველთვის თხრიდნენ და იდებდნენ ნაღმებს, როდესაც ისინი ტოვებდნენ ტერიტორიას.⁹ აფხაზეთის სამხედრო ოფიციალურმა პირმა Landmine Monitor-ს უთხრა, რომ 2001 წლის ოქტომბერში, როგორც აფხაზეთის ასევე საქართველოს შეიარაღებული ძალები იყენებდნენ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს კოდორის ხრდილოეთ ნაწილში.¹⁰

თავდაცვის მინისტრმა ეშბამ აღიარა, რომ 2002 წელს აფხაზი ჯარისკაცებიც იყენებდნენ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს თავდაცვის მიზნით. მინისტრმა Landmine Monitor-ს განცხადა, რომ 2002 წლის შუა პერიოდში, აფხაზურმა და ქართულმა ჯარებმა დანაღმეს მარტის უდელტეხილის მიმდებარე ტერიტორიები, კოდორის ხეობის ჩრდილოეთ ნაწილში, რუსეთის საზღვართან¹¹. არსებობს სხვა განცხადებები 2002 წელს საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და რუსეთის სამშვიდობო ძალების მიერ აფხაზეთში ნაღმების გამოყენების შესახებ¹².

აფხაზეთის საინჟინრო კორპუსის უფროსმა 2003 წელს განაცხადა, რომ „აფხაზეთის შეიარაღებული ძალები არ იყენებდნენ ქვეითსაწინაათლდმდეგო ნაღმებს და არც აქვთ მათი გამოიყენების განძრახვა“¹³. 2003 წლის 25 მარტს, შავი ზღვის პრესის საგაენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, გუდაუთიდან შემოსულმა 100-კაციანმა აფხაზურმა ჯგუფმა დანაღმა თავისი პოზიციები გალის რაიონში რუსეთის სამშვიდობო ძალების მიერ კონტროლირებად 24 კილომეტრიან ტერიტორიაზე¹⁴. აფხაზეთის თავდაცვის მინისტრმა უარყო ეს განცხადება, როგორც „ფაქტების პროვოკაციული დამახინჯება“¹⁵. არ არსებობდა ნაღმების განთავსების ფაქტის დამოუკიდებელი დადასტურება. განცხადებები არ გაკეთებულა 2003 წლის დარჩენილ პერიოდში აფხაზური ან ქართული შეიარაღებული ძალების მიერ ნაღმების გამოყენების თაობაზე.

როგორც საქართველოს ასევე აფხაზეთის შეიარაღებულმა ძალებმა ათი ათასობით ნაღმი განათავსეს 1992-93 წლებში მიმდინარე ბრძოლისას. ქართულმა სამხედრო ჯგუფებმა ნაღმების უმეტესობა განათავსეს ოჩამჩირისა და სოხუმის რაიონებში მაშინ, როცა არსებული ინფორმაციის თანახმად, აფხაზეთის შეიარაღებულმა ძალებმა ნაღმების დიდი ნაწილი განათავსეს გალის რაიონში.¹⁶ კონფლიქტის დროს გამოყენებული ნაღმების დიდი

ნაწილი წარმოებული იყო საბჭოთა კავშირში, მათ შორის PMN-2, PMN, MON-50 და MON-100 ნაღმები¹⁷.

ნაღმებთან დაკავშირებული პრობლემა

„HALO Trust“-მა (განაღმვის ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია), 1999 წელს ჩატარა ნაღმებთან დაკავშირებული პრობლემის კვლევა და განსაზღვრა, რომ დაახლოებით 18 მილიონი კვადრატული მეტრი მიწა სახიფათო ან საექვო იყო; აქედან ხუთი მილიონი კვადრატული მეტრი მიწა საჭიროებდა პირველი ან მეორე პრიორიტეტის განაღმვას¹⁸. 2003 წლის მაისისათვის, ამგვარი მაღალ-პრიორიტეტული მიწის დაახლოებით 40 პროცენტი (თოთქმის ორი მილიონი კვადრატული მეტრი) გაინაღმა. ყველაზე მეტად დანაღმული ტერიტორიები მდებარეობდა სოხუმის, ოჩამჩირის, ტევარჩელისა და გალის რაიონებში.

„HALO Trust“-ის განცხადებით, „აფხაზეთი მოგვაგონებს ბოსნიის ყველაზე მეტად დანაღმულ ტერიტორიებს და ჯერ კიდევ იღებს ბალკანეთისათვის გამოყოფილი საერთაშორისო დახმარების ნაწილს.“¹⁹ ნაღმები და აუფეთქებელი ჭურვები აბინძურებს სასოფლო-სამეურნეო მიწას, ბაღებსა და სამრეწველო ზონებს - რაც დიდ დარტყმას აუნებს ეკონომიკას, რომლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ციტრუსოვანი ხილი, ვენახები და მსუბუქი მრეწველობა.²⁰

ნაღმები ასევე ხელს უშლის 300,000 იძულებით გადაადგილებულ პირის რეპარიაციას. როგორც კი იძულებით გადაადგილებული პირები და ლტოლვილები დაბრუნდებიან და ისევ დაიწყებენ მიწის გამოყენებას, გარკვეული დანაღმული მიწების პრიორიტეტის სტატუსი შეიძლება შეიცვალოს²¹. ტურისტების ვიზიტებმა აფხაზეთში გაზარდა იმ ტერიტორიის გარკვეული ნაწილის პრიორიტეტის დონე, რომელიც მანამდე ნაკლებ პრიორიტეტი იყო, და ამ ტერიტორიებზე განაღმვის ოპერაციები სავარაუდოდ 2004 წელს დაიწყება²².

განაღმვის ოპერაციები და ნაღმების გაუგნებლება

განაღმვის ოპერაციებს აფხაზეთში კორდინირებას უწევს აფხაზეთის ნაღმებისაწინააღმდეგო ცენტრი (AMAC), რომელიც 1999 წლის იანვარში შეიქმნა. AMAC ახორციელებს კვლევას, განსაზღვრავს დაბინძურებულ აღგილებს და ატარებს ნაღმებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების სწავლების პროგრამებს. AMAC რუქებსა და მონაცემებს აწვდის „HALO Trust“-ს რომელიც 1997 წლიდან განაღმვის ოპერაციებს ახორციელებს აფხაზეთში²³. AMAC ფინანსდება „HALO Trust“-ის მეშვეობით. 2003 წელს, დონორები იყვნენ: გერმანია, ნიდერლანდები, გაერთიანებული სამეფო, შეერთებული შტატები, ტოკიოს სამაუწყებლო სისტემის პროექტის „ნაღმებისგან თავისუფალი“ კომიტეტი (Association for Aid and Relief Japan's "Zero Landmine Campaign" თანამშრომლობით), და უკლისის პრინცესა დიანას მემორიალური ფონდი.²⁴ წინა წლებში, აფხაზეთში ნაღმებისაწინააღმდეგო დონისძიებების მხარდამჭერ სხვა დონორებში შედიოდნენ: იაპონია, კანადა, ფინეთი და Pro Victimis და Anti-Landminy Stichtung ქერძო ფონდები.²⁵

2003 წელს, „HALO Trust“-მა დაიქირავა 380 აღილობრივი თანამშრომელი, რომლებიც განაწილდნენ სამ მთავარ რეგიონში (შვიდი ჯგუფი - ოჩამჩირის რაიონში, ოთხი - გალში და სამი - სოხუმში) განთავსებულ, ხელით გამნაღმველთა თოთხმეტ ჯგუფში, დანაღმული ველის მონიშვნის/აუფეთქებელი ჭურვების ამოღების/კვლევის განმახორციელებელ ჯგუფში, და მექანიკური განაღმვის ხუთ ჯგუფში (სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონებში მომზავე ექვსი ბრონირებული ფრონტალური სატერიტოებით და შეკვეთით დამზადებული ქვასამსხვრევი).²⁶ 2002 წელს, „HALO Trust“-მა მისი შტაბინა სოხუმიდან ოჩამჩირეში გადაიტანა. 2003 წელს, განაღმვის სამუშაოები მიმართულ იქნა გალში, მდინარე ენგურის ნაპირებზე, რომელზეც რეგულარულად გადადიან იძულებით გადაადგილებული პირები, რათა თავი აარიდონ მოქმედი ოფიციალურ გადასვლის პუნქტებზე დიდი ოდენობის მოსაკრებლების გადახდას, და ოჩამჩირის რაიონის საცხოვრებელ და სასოფლო-სამეურნეო რაიონებში იძულებით ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების მიზნით. ასევე „HALO Trust“ ზოგჯერ უზრუნველყოფს დახმარებას აუფეთქებელი ჭურვების ამოღებისა და განაღმურების საქმეში, საქართველოს ზუგდიდის რაიონში.²⁷

„HALO Trust“-მა შეიმუშავა სამუშაო გეგმა ხუთი წლის განმავლობაში აფხაზეთში ნაღმების გაუქნებლების მიზნით, თუმცა თუ მას ექნება შესაბამისი დაფინანსება, ის

იმედოვნებს, რომ ამ სამუშაო გეგმას სამ წელში დაასრულებს. 2003 წელს, თითქმის დასრულდა სოხუმისა და ბულნიფშის რეგიონების განაღმვა, თუ არ ჩათვლით ზოგიერთ მთან ადგილს. გაინაღმა აფხაზეთის ინფრასტრუქტურის რამდენიმე ისეთი უკალაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორიცაა ბაბუშერას აეროპორტი (გულრიფშის რაიონი), მაგისტრალი M-27, დასახლებული პუნქტების დამაკავშირებელი ხიდები და გუმისთის მდინარის ნაპირები სოხუმში.

2003 წელს, „HALO Trust“-მა განაღმა 779,660 კვადრატული მეტრი დანაღმული მიწა (423,178 კვადრატული მეტრი გაინაღმა ხელით, ხოლო 356,482 კვადრატული მეტრი - მექანიკური მოწყობილობების გამოყენებით), და გაანადგურდა 537 ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი, 91 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი და 653 აუფეთქებელი ჭურვი²⁸. 2004 წლის 1 იანვარსა და 28 ივნისს შორის პერიოდში, „HALO Trust“-მა განაღმა 1,430,773 კვადრატული მეტრი მიწა (747,122 კვადრატული მეტრი - ხელით, ხოლო 683,651 კვადრატული მეტრი - მექანიკური მოწყობილობების გამოყენებით) და გაანადგურა 280 ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი, 69 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი და 521 აუფეთქებელი ჭურვი.²⁹

2002 წელს, „HALO Trust“-მა განაღმა 858,688 კვადრატული მეტრი მიწა და გაანადგურა 456 ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი, 127 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი და 749 აუფეთქებელი ჭურვი. განაღმვის მაჩვენებლები 2002 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა წინა წლებთან შედარებით, რადგან გამოიყენებოდა ახალი გასანაღმი მოწყობილობები, მუშაობდა უფრო მეტი გამნაღმველი და გაუმჯობესდა განაღმვის პროცედურები.³⁰

1997 წლის 18 დეკემბერსა და 2004 წლის 28 ივნისს შორის პერიოდში, „HALO Trust“-მა მოლისნობაში განაღმა 4,55,216 კვადრატული მეტრი დანაღმული მიწა (2,018,588 კვადრატული მეტრი გაინაღმა ხელით, ხოლო 2,536,628 კვადრატული მეტრი - მექანიკური მოწყობილობების გამოყენებით). მან გაანადგურა 4,816 ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი, 521 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი და 4,338 აუფეთქებელი ჭურვი.³¹

1994 წლის შემდეგ, აფხაზეთში განთავსებული რუსეთის სამშვიდობო ძალების სპეციალური საინჟინრო ქვედანაყოფიც ჩაერთო აფხაზეთში მიმდინარე განაღმვის ოპერაციებში. 2002 წლის ნოემბერში, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირმა განაცხადა, რომ რუსეთის ძალებმა განაღმეს 23,000 უკეთებადი საგანი აფხაზეთში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციების პროცესში.³²

2003 წლის სექტემბერში, საქართველო და აფხაზეთი შეთანხმდნენ კოდორის ხეობის ერთობლივ განაღმვაზე³³. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ხეობაში ასობით ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმია და, რომ დანაღმული ველის რუკების არარსებობისა და დანგრეული ადგილების გამო, შეუძლებელი იქნება მექანიკური გასანაღმი მოწყობილობების გამოყენება. თავდაპირველად ოპერაციები გადაიდო ამინდის პირობების გამო³⁴. 2004 წლის სექტემბერში, განაღმვის ოპერაციები ჯერ პირველ არ იყო დაწყებული, ტექნიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების გამო³⁵.

ნაღმებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების სწავლება

„HALO Trust“ 1999 წლიდან ახორციელებს ნაღმებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების სწავლებას (MRE) აფხაზეთში. 2003 და 2004 წლებში მან სამი MRE ჯგუფი გაანაწილა აფხაზეთში³⁶, ხოლო კიდევ ერთი ჯგუფი – საქართველოს ზუგდიდის რაიონში³⁷. 2003 წელს, „HALO Trust“-მა 14,926 ადამიანისათვის უზრუნველყო ნაღმებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების სწავლება³⁸. 2004 წლის იანვარსა და აგვისტოს პერიოდში, „HALO Trust“-მა 56,185 ადამიანისათვის უზრუნველყო ნაღმებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების სწავლება; მან გაანაწილა 16,002 MRE სახელმძღვანელო და 47,904 ბროშურა³⁹. „HALO Trust“-ის ნაღმებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების სწავლებაზე ორიენტირებული დონისძიებების რიცხვი გაიზარდა 2004 წელს, რადგან ამ პროგრამაში პირველად მიიღეს მონაწილეობა საქართველოს ზუგდიდის რაიონში, საზღვარზე მცხოვრებმა იძულებით გადაადგილებულმა პირებმა/ლტოლვილებმა⁴⁰.

1999-2002 წლებში, 47,029 ადამიანს ჩაუტარდა ნაღმებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების სასწავლო სემინარები აფხაზეთში⁴¹. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (წჯსკ) დაეხმარა „HALO Trust“-ის მისი MRE პროგრამის შემუშავებაში. უკლის პრინციპს დიანას მემორიალური ფონდი აფხაზეთში „HALO Trust“-ის MRE

საქმიანობის ძირითადი დონორი იუო⁴². UNICEF-მა უზრუნველყო დამატებითი მხარდაჭერა⁴³.

ნაღმების აფეთქების შედეგად მომსდარი უბედური შემთხვევები

2003 წელს, ნაღმებით გამოწვეული ერთი უბედური შემთხვევა დაფიქსირდა. 2003 წლის ოქტომბერში კაცმა დააბიჯა ქვეითსაწინააღმდევონ ნაღმს კოდორის ხეობაში და მას მკურნალობა ჩატარდა სოხუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში⁴⁴. 2004 წლის 1 იანვარს, ორი ბავშვი დაიღუპა და ერთი დაშავდა აუფეთქებელი ჭურვით გამოწვეულ ინციდენტში. 2004 წლის აპრილში, „HALO Trust“-ის გამნაღმევლი დაშავდა ქვეითსაწინააღმდევებო ნაღმის აფეთქების შედეგად, რაც გამოწვეული იუო სტანდარტული სამუშაო პროცედურების დარღვევით.⁴⁵

2002 წელს, ნაღმებით გამოწვეული თორმეტი უბედური შემთხვევა დაფიქსირდა, რომელთაგან ექვსი ადამიანი დაიღუპა, ხოლო ექვსი დაშავდა⁴⁶. შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, 2001 წელს, ერთი ადამიანი დაიღუპა, ხოლო ოთხი დაშავდა ნაღმებითა და აუფეთქებელი ჭურვებით გამოწვეული უბედური შემთხვევების შედეგად. 2000 წელს, ორი ადამიანი დაიღუპა, ხოლო ერთი დაშავდა.⁴⁷

„HALO Trust“-ის განცხადებით, 1992 წელსა და 2004 წლის ივლისს შორის პერიოდში ადგილი ჰქონდა ნაღმებითა და აუფეთქებელი ჭურვებით გამოწვეულ 299 შემთხვევას⁴⁸. გაგრის ორთოპედიული ცენტრის მიერ მოპოვებული მონაცემების მიხედვით, 1995-2003 წლებში რეგისტრირებული იუო ნაღმებით დაშავებული 244 ადამიანი, რომელთაც ჩაუტარდათ ამჟეტაცია, აქედან 208 მამაკაცი, 20 ქალი და 16 ბავშვი⁴⁹. არსებული ინფორმაციის თანახმად, უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე, 50-ზე მეტი დსო-ს მშვიდობისმყოფელი დაიღუპა ნაღმების აფეთქების შედეგად აფხაზეთში⁵⁰.

„HALO Trust“ წჯსკ, ინგალიდთა დახმარების ასოციაცია, ინგალიდთა და ამჟეტირებულთა დახმარების ახლად შექმნილი საქველმოქმედო ფონდი („ვერესკა“) და ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიის აფხაზეთის კომიტეტი (AbCBL) აგროვებენ ინფორმაციას აფხაზეთში ნაღმებით გამოწვეული უბედური შემთხვევების შესახებ, მაგრამ AbCBL-ს აზრით, მათი მონაცემები ზოგჯერ ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს და უბედურ შემთხვევათა არცერთი ჩამონათვალი არ უნდა იქნას მიჩნეული სრულყოფილად.

დაზარალებულთა დახმარება და ინგალიდობასთან დაკავშირებული პოლიტიკა და პრაქტიკა

აფხაზეთში არსებული სამედიცინო დაწესებულებები სავალალო მდგომარეობაშია რესურსების არარსებობის გამო. წჯსკ რეგულარულად აწვდის მოწყობილობებსა და მედიკამენტებს სოხუმის, აგუქერისა და ტევარჩელის საავადმყოფოებს მაშინ, როცა გალისა და ოჩამჩირის საავადმყოფოები პირველადი დახმარების საშუალებებს იღებენ. 2003 წლის ნოემბერში, წჯსკ-მა ჯანდაცვის ორგანოებთან ხელი მოაწერა შეთანხმებას სოხუმის საავადმყოფოში (რომელიც აფხაზეთის მთელ ტერიტორიას მოემსახურება) სისხლის გადასხმის ცენტრალიზებული პროგრამის დაწყების შესახებ⁵¹. 2003 წელს, საქართველოდან და აფხაზეთიდან ჩამოსული ოთხი ქირურგი ესწრებოდა მოსკოვში ჩატარებულ წითელი ჯგრის საერთაშორისო კომიტეტის სემინარს თემაზე: ქირურგია ომის პერიოდში⁵². Medicins Sans Frontieres (MSF) აგრძელებს სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და ქირურგიული მოწყობილობების უზრუნველყოფას აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებებისათვის, მათ შორის სოხუმის კლინიკისათვის⁵³. UNICEF-მა უზრუნველყო UNHCR-სა და UNOMIG-ის მიერ მოწყობილი სასკოლო კომპლექსები⁵⁴. 2002 წლის ოქტომბერში, აფხაზეთის ახალმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, განვითარებისა და მხარდაჭერის სააგენტომ, შევდეთის „Heart to Heart“ ფონდთან თანამშრომლობით, აფხაზეთში სატერიტო მანქანით გააგზავნა საავადმყოფოს მეორადი მოხმარების მოწყობილობები, ადგილობრივ საავადმყოფოებში განაწილების მიზნით⁵⁵.

ჯანდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით წჯსკ-ის მიერ შექმნილი გაგრის ორთოპედიული ცენტრი უფასოდ უზრუნველყოფს ფიზიკური რეაბილიტაციის მომსახურებასა და ორთოპედიულ მოწყობილობებს. გაგრის სარეაბილიტაციო ცენტრი უზრუნველყოფს რეაბილიტაციასა და თავშესაფარს იმ ამჟეტირებული ადამიანებისათვის, რომლებიც ელოდებიან მათი პროთეზების დამზადებას⁵⁶. 2003 წელს, გაგრის ცენტრის თანამშრომლები დაესწრენ სატრენიგო შეკრებას სოხის (რუსეთი) ცენტრში⁵⁷. 2003 წლის შუა პერიოდში, „HALO Trust“-მა სოხუმის სარეაბილიტაციო ცენტრთან ერთად, შეიმუშავა

პროგრამა აფხაზეთში ნაღმის აფეთქებისგან გადარჩენილი ბავშვებისათვის. პროგრამაში მონაწილეობდნენ ნაღმის აფეთქებისგან გადარჩენილი ექვსი ახალგაზრდა და მათი შშობლები⁵⁸. „HALO Trust“-ის MRE ჯგუფი თანამშრომლობდა ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრთან, რათა 2004 წელს ემასპინძლა ნაღმის აფეთქებისგან გადარჩენილი 15 ბავშვისაგან შემდგარი სარეაბილიტაციო ბანაკებისა და მათი ოჯახებისათვის, UNICEF-ის ფინანსური დახმარებით⁵⁹. ინვალიდთა მიერ შექმნილ აფხაზურ არასამთავრობო ორგანიზაციებში შედის: ინვალიდთა საქველმოქმედო ასოციაცია, გუდაუთის რეგიონის ინვალიდთა ასოციაცია და უსინათლოთა საზოგადოება⁶⁰. სოხუმში არსებული ინვალიდთა დახმარების ასოციაცია (ყოფილი ზურგის ტვინის დაზიანებების მქონე ინვალიდთა ასოციაცია) ინვალიდებისათვის „უზრუნველყოფს ფიზიკურ რეაბილიტაციას, ფსიქოსოციალურ დახმარებას და პროფესიონალურ მომზადებას, მათ შორის კომპიუტერის კურსებს. ინვალიდთა დახმარების ასოციაცია 2001 წლიდან მასპინძლობს ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიის აფხაზეთის კომიტეტს. ინვალიდთა დახმარების ასოციაციაში 2001 წლის მაისში ჩატარა „ფორუმი ინვალიდთა ორგანიზაციებისათვის“, ადგილობრივ და საერთაშორისო ინტერესების მხარდაჭეის მიზნით; შედეგად, 2003 წლის 14 თებერვალს შეიქმნა „აფხაზეთში ინვალიდებთან დაკავშირებულ საკითხთა საკორდინაციო საბჭო“. სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია ცდილობს დააგმაყოფილოს ინვალიდთა, მათ შორის ნაღმის აფეთქებისგან გადარჩენილთა მოთხოვნები⁶¹. ნაღმის აფეთქებისგან გადარჩენილი ერთი აფხაზი მონაწილეობდა ქვევაში (შვეიცარია) 2004 წლის თებერვალში ჩატარებულ ტრენინგზე - „აიმაღლეთ ხმა“ (Raising the Voice). Adopt-A-Minefield-მა „უზრუნველყო დახმარება ინვალიდთა და ამპუტირებულთა საქველმოქმედო ფონდის („ვერესკი“) შექმნის საქმეში, რომელიც ყიდულობს და აფხაზეთში არსებულ ნაღმის აფეთქებისგან გადარჩენილებსა და სხვა ინვალიდებს უხარისხებს სამოძრაო მოწყობილობებს⁶². აფხაზეთის კანონმდებლობა განსაკუთრებულად არ გამოყოფს ნაღმების აფეთქებისგან გადარჩენილ ადამიანებს, რადგან ის თანაბარ პირობებს ადგენს ყველა ინვალიდისათვის⁶³.

¹ ინტერვიუ სერგეი შამბასთან, საგარეო საქმეთა მინისტრი, სოხუმი, 2004 წლის 27 თებერვალი.

² ინტერვიუ რაულ ხაჯინბასთან, პრემიერ მინისტრი, სოხუმი, 2003 წლის 23 ივნისი.

³ იხილეთ მაგალითად, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, „ქვეყნის ანგარიშები ადამიანთა უფლებების პრაქტიკის შესახებ, 2002 წ., საქართველო“, Online ვერსია, 2003 წლის 31 მარტი.

⁴ იხილეთ Landmine Monitor-ის ანგარიში 2002, გვ. 795-796

⁵ წერილი Landmine Monitor-ს (HRW), მერაბ ანთაძისაგან, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, 2002 წლის 19 ივნისი.

⁶ ინტერვიუ ვიაჩესლავ ეშბასთან, თავდაცვის მინისტრი; მაქსიმ ლეინჯიასთან, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, და დევოლ მაქმაჭონისთან, პროგრამის ხელმძღვანელი, „HALO Trust“; სოხუმი, 2004 წლის 8 სექტემბერი.

⁷ იქვე.

⁸ ინტერვიუ ვიაჩესლავ ეშბასთან, თავდაცვის მინისტრი, 2004 წლის 8 სექტემბერი.

⁹ ინტერვიუ ვლადიმერ არშბასთან (აფხაზეთის ჯარის სამხედრო შტაბის უფროსი), სოხუმი, 2001 წლის ოქტომბერი.

¹⁰ ინტერვიუ საინირო ძალების წარმომადგენელთან, აფხაზეთის თავდაცვის სამინისტრო, სოხუმი, 2001 წლის 3 ნოემბერი. ასევე იხილეთ, აპსიაპერები, აფხაზეთის სახელმწიფო საგარეო სააგენტო, www.apsnypress.narod.ru, 2001 წლის 9 ოქტომბერი; ანგარიში კავკასიის შესახებ, ტომი 5, №13, 2002 წლის 12 აპრილი.

¹¹ ინტერვიუ ვიაჩესლავ ეშბასთან, თავდაცვის მინისტრი, სოხუმი, 2003 წლის 23 ივნისი; ასევე იხილეთ Landmine Monitor-ის ანგარიში 2002, გვ. 795-796.

¹² იხილეთ Landmine Monitor-ის ანგარიში 2003, გვ. 732-733.

¹³ ინტერვიუ პოლკოვნიკ ხუბა კურტ-ოდლისთან, საინირო ძალების უფროსი, თავდაცვის სამინისტრო, სოხუმი, 2003 წლის 16 ივნისი. ეს დადასტურდა 2004 წლის 6 სექტემბერს შემდგარი სატელეფონო ინტერვიუში.

¹⁴ აფხაზმა მხარემ დანაღმა მისი ბლოკ-პოსტები „დაცულ ტერიტორიაზე“, შავი ზღვის პრესის სააგენტო, 2003 წლის 25 მარტი; დამოუკიდებელი სატელეფონო არხი „რუსთავი 2“, 2003 წლის 25 მარტი.

¹⁵ საინფორმაციო სააგენტო ინტერვიუში, 2003 წლის 25 მარტი.

¹⁶ UNDP, გაეროს მოთხოვნათა შეფასების მისია აფხაზეთში, საქართველო“, 1998 წლის მარტი.

¹⁷ „HALO Trust“-ის და AMAC-ის მიერ AbCBL-სათვის მიწოდებული ინფორმაცია, სოხუმი, აფხაზეთი, 2000 წლის მაისი; ასევე, „HALO Trust“ და AMAC, „ანგარიში აფხაზეთის დანაღმული ველის კვლევის შესახებ,“ 2000 წლის მარტი, გვ. 40-46.

¹⁸ 1999 წელს, „HALO Trust“-მა ჩაატარა აფხაზეთის კვლევა საქართველო ტერიტორიის სრული ტექნიკური კვლევა. ამ კვლევის შედეგები გამოქვეყნდა 2000 წლის მარტში აფხაზეთის დანაღმული ველის კვლევის შესახებ ანგარიშში. იმის გამო, რომ თავდაპირველი კვლევა ასეთი ყოვლისმომცველი იყო, მას შემდეგ აღმოჩენილ იქნა მხოლოდ ორი დანაღმული ტერიტორია (რომელიც 20,000 კვადრატულ მეტრს შეადგენდა). „HALO Trust“-ს ამჟამად კვლევის განმახორციელებელი მხოლოდ ორი ჯგუფი ჰყავს, რომელიც ასევე დანაღმული ველის მონიშვნისა და EOD ჯგუფის ფუნქციასაც ასრულებს. ინტერვიუ ტიმ ტერნერთან, პროგრამის ხელმძღვანელი, „HALO Trust“, თამაშირე, 2003 წლის 16 ივნისი.

¹⁹ „HALO Trust“, „კავკასია“, www.halotrust.org/cauc.html.

²⁰ იქვე.

²¹ ინტერვიუ ტიმ ტერნერთან, პროგრამის ხელმძღვანელი, „HALO Trust“. 2003 წლის 16 ივნისი.

²² იქვე, 2004 წლის 23 თებერვალი.

²³ „HALO Trust – აფხაზეთი“, „ანგარიში ჰუმანიტარული ორგანიზაციის მიერ განხორციელებული განაღმვის ოპერაციების შესახებ (2001 წლის ნოემბერი – 2002 წლის იანვარი).“

²⁴ ტიმ ტერნერის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, „HALO Trust“, 2003 წლის 10 ივნისი.

²⁵ „HALO Trust“-ის მიერ AbCBL-სათვის მიწოდებული ინფორმაცია, 2000 წლის 25 იანვარი. ასევე, HALO Trust /AMAC, „ანგარიში აფხაზეთის დანაღმული ველის კვლევის შესახებ,“ გვ.4.

²⁶ ტიმ ტერნერის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, „HALO Trust“, 2003 წლის 10 ივნისი

²⁷ იქვე.

²⁸ „HALO Trust“-ის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, 2004 წლის 28 ივნისი.

²⁹ იქვე.

³⁰ იქვე. „HALO Trust“-ის სტატისტიკური მონაცემების შესაბამისად, 2002 წლის მარტი, ყოველ წელს ინაღმებოდა დაახლოებით 370 კვადრატული მეტრი მიწა.

³¹ „HALO Trust“-ის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, 2004 წლის 28 ივნისი და 2004 წლის 8 სექტემბერი.

³² გენერალ-მაიორის ალექსანდრე ავერჩენკოს, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრი, განცხადება, „ოტავის კონკრეტული რეალობად ქვევა: სამხედრო დასკვნები,“ წჯსკ-ის სემინარი ნაღმებისა და ERW-ს შესახებ, მოსკოვი, 2002 წლის 4 ნოემბერი.

³³ საქართველო ითანამშრომლებს აფხაზ სეპარატისტებთან განაღმვის საქმეში, ინტერვიუ, 2003 წლის 22 სექტემბერი.

³⁴ საქართველო: ერთობლივი განაღმვის ოპერაციები კოდორის ხეობაში გადაიდო მომავალ გაზაფხულამდე,“ კავკასია-პრესი (საქართველო), 2003 წლის 10 სექტემბერი.

³⁵ ინტერვიუ დევიდ მაქმაპონისთან, პროგრამის ხელმძღვანელი, „HALO Trust“, სოხუმი, 2004 წლის 8 სექტემბერი.

³⁶ „HALO Trust“-ის, „HALO Trust“-ის ჰუმანიტარული განაღმვის ოპერაციებისა და მსუბუქი სასროლი იარაღების განადგურების პროექტების პორტფოლიო, 2004,“ დამფრისი, 2003 წლის ნოემბერი, გვ.7. ასევე იხილეთ Landmine Monitor, გვ. 734-735

³⁷ იხილეთ Landmine Monitor-ის ანგარიში საქართველოს შესახებ.

³⁸ „HALO Trust“-ის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, 2004 წლის 28 ივნისი.

³⁹ ინტერვიუ დევიდ მაქმაპონისთან, „HALO Trust“, 2004 წლის 8 სექტემბერი.

⁴⁰ იქვე.

⁴¹ Landmine Monitor-ის ანგარიში 2002, გვ. 798; Landmine Monitor-ის ანგარიში 2003, გვ. 734.

⁴² წჯსკ, „განაღმვის ოპერაციები 2002,“ გვ.44. ასევე იხილეთ Landmine Monitor-ის ანგარიში 2003, გვ. 734.

⁴³ განაღმვის ოპერაციათა მხარდაჭერი ჯგუფის საინფორმაციო ბიულეტენი, 2004 წლის ოქტომბერი.

⁴⁴ აფხაზეთში წჯსკ-ის მისიის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, 2004 წლის 28 აპრილი.

⁴⁵ „HALO Trust“-ის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, 2004 წლის 8 სექტემბერი.

⁴⁶ იხილეთ Landmine Monitor-ის ანგარიში 2003, გვ. 735.

⁴⁷ აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი, „აფხაზეთის ტერიტორიაზე მომხდარი ტერორისტული თავდასხმების ჩამოათვალი“, სოხუმი, 2001 წელი.

⁴⁸ „HALO Trust“-ის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, 2004 წლის 28 ივნისი.

⁴⁹ ინტერვიუ კრისტოფერ მეპლისთან, წჯსკ, სოხუმი, 2003 წლის 1 აპრილი; წჯსკ-ის 2003 წლის 29 იანვრის სტატისტიკური მონაცემები.

⁵⁰ იხილეთ Landmine Monitor-ის ანგარიში 2003, გვ.798.

⁵¹ წჯსკ, „წლიური ანგარიში 2003,“ გვ.223.

⁵² იქვე-

⁵³ „გაეროს გენერალური მდივნის ანგარიში აფხაზეთში არსებული სიტუაციის შესახებ, საქართველო“, S/2004/315 2004 წლის 20 აპრილი, გვ.7; ინტერვიუ MSF-ის პერსონალთან, სოხუმი, 2003 წლის 11 ივლისი; MSF, „ანგარიში საქმიანობის შესახებ 2002,“ www.msf.org

⁵⁴ იქვე-

⁵⁵ ინტერვიუ თთარ კაპალიასთან, დირექტორი, განვითარებისა და მხარდაჭერის სააგენტო, სოხუმი, 2003 წლის 23 მარტი.

⁵⁶ იხილეთ Landmine Monitor-ის ანგარიში 2003, გვ. 800.

⁵⁷ წჯსკ, „წლიური ანგარიში 2003,“ გვ. 223.

⁵⁸ „HALO Trust“-ის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, 2004 წლის 28 ივლისი.

⁵⁹ იქვე-

⁶⁰ ინტერვიუ დაურ ლატარიასთან, დირექტორი, უსინათლოთა საზოგადოება, სოხუმი, 2003 წლის 27 ივნისი.

⁶¹ ინტერვიუ ალპას თხაგუშევთან, დირექტორი, ინვალიდთა დახმარების ასოციაცია, სოხუმი, 2003 წლის 21 მარტი.

⁶² ინტერვიუ ვიქტორია დუმასთან, კოორდინატორი, ინვალიდთა და ამჟღებირებულთა საქველმოქმედო ფონდი „ვერესი“, სოხუმი, 2004 წლის 7 სექტემბერი.

⁶³ იხილეთ Landmine Monitor-ის ანგარიში 2003, გვ. 800.